



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 1.02.2021-15.02.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 21.04.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული მეცნიერება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში (120/წ ძველი კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0401
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 02 ივლისის №147 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე - ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული - დ.აღმაშემებლის სახ. თავდაცვის აკადემია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა სახელწოდებით „კომპიუტერული მეცნიერება“ წარმოადგენს უნივერსიტეტში 2007 წლიდან მოქმედი პროგრამის სახელშეცვლილ პროგრამას, რომლის საწყისი დასახელება იყო „ინფორმატიკა“ (აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წლის 21 ივლისს, კვალიფიკაციით **0401 ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში**). 2019 წლის 2 ივლისს **№147 დადგენილებით** აკრედიტაცია მიენიჭა ამ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელშეცვლილ და განახლებულ ვარიანტს “**ინფორმაციული ტექნოლოგიები**” (კვალიფიკაციით **0401 ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში**) და დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:
 1. საბაკალავრო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ მიზნები ჩამოყალიბდეს ცხადი სახით „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთან“ მიმართებაში;
 2. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის ცხადად ჩამოყალიბდეს მოთხოვნები ინგლისური ენის ცოდნის როლის შესახებ პროგრამის დასაძლევად;
 3. შემცირდეს დარგობრივი არჩევითი საგნების მოცულობა, რიგი საგნების სავალდებულო საგნების ნუსხაში გადატანის გზით (ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება, ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები II, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება, კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება I);
 4. გაიზარდოს დარგობრივი საგნებისათვის საკონტაქტო საათების რაოდენობა;
 5. ჩასწორდეს სილაბუსები ენობრივად;
 6. მიეთითოს საგნები, რომლებიც ქართულ და ინგლისურ ენაზე ისწავლება და აღიწეროს რა შემთხვევაში ხდება საგნის ინგლისურად წაკითხვა.

წარმოდგენილ მასალაში არ არის აღნიშნული ცვლილილებები განხორციელებული სრულად.

უნივერსიტეტის წერილის თანახმად (№530-CU-01, 10/12/2020), პროგრამამ შეიცვალა მხოლოდ სახელი და არ მომხდარა სხვა რაიმე ტიპის ცვლილებები.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2020 წლის 01 დეკემბრის №510-CU-01, 10 დეკემბრის №530-CU-01 და 28 დეკემბრის №580-CU-01 (ცენტრში რეგისტრაციის №1139406, №1189341 და №123523) წერილების საფუძველზე დაიგეგმა კავკასიის უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით. პროგრამის შემოწმება განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეცვალა პროგრამის სახელწოდება და მიზანშეწონილად ჩაითვალია დადგინდეს მისი თავსებადობა საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, მიზანთან და სწავლის შედეგებთან. შესაბამისად შემოწმდა პროგრამის შესაბამისობა პირველ და მეორე სტანდარტის 2.2 და 2.3 ქვესტანდარტთან.

მონიტორინგი განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე. ექსპერტებს შორის კომპუნიკაცია ხორციელდებოდა zoom პლათფორმის საშუალებით.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება პირველ სტანდარტს, რადგან:

ქვესტანდარტი 1.1 პროგრამის მიზნები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით ბაკალავრიატი შეესაბამება კვალიფიკაციის მე-6 დონეს რომლის თანახმადაც პროგრამამ სტუდენტს უნდა მისცეს „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს“... „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის.....“ ასევე სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად (მუხლი 6. პუნქტი.1) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად...“.

პროგრამის მიზნის აღწერის პირველ პუნქტის ჩანაწერი ძალზე ზოგადია არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას შეესაბამება თუ არა ცოდნა დარგის კომპეტენციას; მეორე პუნქტში აქცენტირებაა „ინფორმატიკის ფუნდამენტურ თეორიებზე“ და მათ მონაწილეობაზე „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სფეროში განათლებაზე; ხოლო მესამე პუნქტში საუბარია „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ პროფესიონალზე.

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, ინფორმაციული ტექნოლოგიები (0612.1.1) და კომპიუტერული მეცნიერება (0613.1.2) განეკუთვნებიან სხვადასხვა დეტალურ სფეროს. პროგრამის მიზნების აღწერაში საერთოდ არაა ნახსენები „კომპიუტერული მეცნიერება“, როგორც დარგი ან/და სწავლების სფერო.

ამდენად პროგრამის მიზნები ცხადად არ ასახავს, იმ ცოდნას, უნარებისა და კომპეტენციების რომელიც უნდა ჰქონდეს „კომპიუტერული მეცნიერების“ სფეროს საგანმანათლებლო პროგრამის მქონე კურსდამთავრებულს.

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა პროგრამის სახელის ცვლილება და შესაბამისად პროგრამის მიზნები ძველი სახელწოდების („ინფორმაციული ტექნოლოგიები“) შესაბამისობითაა წარმოდგენილი, ეს არ არის იმის განმსაზღვრელი, რომ შედეგები „კომპიუტერული მეცნიერების“ მიზნების შესაბამისია. **სწავლის სფეროების კლასიფიკატორის** თანახმად (**მუხლი 6. პუნქტი.1**) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად...“.

მიზნები აღწერენ იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ და „კომპიუტერული მეცნიერება“ სწავლების ერთიანი დამაკვეთიელი სფეროს განეკუთვნება სწავლის შედეგების სიმძიმის ცენტრის უნდა ნაწილდებოდეს სხვადასხვაგვარად - ერთ შემთხვევაში პრაქტიკისაკენ, ხოლო მეორე შემთხვევაში თეორიისკენ.

საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება **მეორე სტანდარტს**.

ქვესტანდარტი 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულად და ლოგიკურად ჩაითვლებოდა თუ პროგრამის სახელწოდება იქნებოდა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამამ შეიცვალა სახელი აუცილებელია „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაზისო ცოდნის არეების შესაბამისი დისციპლინების დამატება/გაღწევა და ხვედრითი წილის გაზრდა, მათ შორის დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსების ხვედრითი წილის (78 კრედიტი) შემცირებით და ზოგიერთი მათგანის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში გადატანით.

პროგრამაში ძირითადი დარგობრივი საგნების მოცულობა (62 ECTS) ნაკლებია ვიდრე დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები (78 ECTS - შეთავაზებული 210 ECTS-დან), აქედან გამომდინარე სხვადასხვა არჩევანის მქონე კურსდამთავრებულთათვის განსხვავებული დონით იქნება უზრუნველყოფილი სწავლის თითოეული შედეგზე გასვლა.

პროგრამის სახელწოდების შეცვლა მოითხოვს პროგრამის მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების ცვლილებას (ლოგიკური იქნებოდა მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ინჟინერიის ბაკალავრი“ , რომელიც წარმოდგენილია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ძველი ვერსიის მიხედვით, ჩანაცვლებულიყო ახლით - „კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი“). შესაბამისად პროგრამაში წარმოდგენილი „პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“ არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას, თუ რამდენად „**შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას**“.

ქვესტანდარტი 2.3. სასწავლო კურსი

უნივერსიტეტის განაცხადის თანახმად პროგრამამ შეიცვალა მხოლოდ დასახელება, შესაბამისად მასში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას, რომლებიც შეესაბამება უმეტესად „ინფორმაციულ ტექნოლოგიებს“ და ზედაპირულად „კომპიუტერულ მეცნიერებას“. სასწავლო მასალა თანამედროვე და შესაბამისია საგნების შინაარსთან და შედეგებთან, მაგრამ გადასახედი იქნება პროგრამის სახელწოდების „კომპიუტერულ მეცნიერებაზე“ შეცვლის შემთხვევაში.

კრედიტების რაოდენობა შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს განსხვავებით სააუდიტორიო საკონტაქტო საათებისაგან. მათი რაოდენობა უმრავლესი დარგობრივი საგნებისთვის წარმოადგენს კვირაში 2 საათს 13 კვირის განმავლობაში. აღნიშნული მოცულობის საკონტაქტო საათები ახალი დისციპლინების შესასწავლად საკმარისად არ მიგვაჩნია.

▪ **რეკომენდაციები**

- ✓ საბაკალავრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ მიზნები ჩამოყალიბდეს ცხადი სახით „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთან“ მიმართებაში;
- ✓ მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს** ახალი რედაქციის შესაბამისად, რაც საშუალებას მისცემს მოხდეს პროგრამის დასახელების კვალიფიკაციის ცხადი შესატყვისობა ;
- ✓ სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს „კომპიუტერული მეცნიერების“ შესაბამისად;
- ✓ უნდა მოხდეს „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაზისო ცოდნის არეების შესაბამისი დისციპლინების დამატება და ხვედრითი წილის გაზრდა, მათ შორის დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსების ხვედრითი წილის შემცირებით და ზოგიერთი მათგანის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში გადატანით;
- ✓ შემუშავდეს „პროგრამის სწავლის შედეგების რუკის“ განახლებული ვერსია, პროგრამის შეცვლილი მიზნების და შედეგების გათვალისწინებით;
- ✓ პროგრამის სახელის შეცვლით განსახორციელების მიზნების და შედეგების ცვლილებების შესაბამისად გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები;
- ✓ გაიზარდოს დარგობრივი საგნებისათვის საკონტაქტო საათების რაოდენობა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ცოდნა, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
- სტუდენტმა მიიღოს მათემატიკისა და ინფორმატიკის ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლება ინფორმაციული ტექნოლოგიებში, რაც შესაძლებლობას მისცემს მას პროფესიულად განვითარდეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში.
- მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით ბაკალავრიატი შეესაბამება კვალიფიკაციის მე-6 დონეს რომლის თანახმადაც პროგრამამ სტუდენტს უნდა მისცეს „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს“... „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის.....“

ასევე სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად (მუხლი 6. პუნქტი.1) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად...“. შესაბამისად, დაწესებულების მიერ, პროგრამის დასახელების ცვლილების განხორციელების შედეგად, უნდა მომხდარიყო პროგრამის მიზნის გადახედვა, ხოლო პროგრამის მიზნის ცვლილების განხორციელების შედეგად, უნდა მომხდარიყო მთელი რიგი ცვლილებები პროგრამის შინაარსში და სწავლის შედეგებში. ასევე, დაწესებულებას უნდა ემსჯელა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილების განხორციელებაზე.

მიზანის აღწერის პირველ პუნქტის ჩანაწერი ძალზე ზოგადია არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას შეესაბამება თუ არა ცოდნა დარგის კომპეტენციას; მეორე პუნქტში აქცენტირებაა „ინფორმატიკის ფუნდამენტურ თეორიებზე“ და მათ მონაწილეობაზე „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ სფეროში განათლებაზე; ხოლო მესამე პუნქტში საუბარია „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ პროფესიონალზე.

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად ინფორმაციული ტექნოლოგიები (0612.1.1) და კომპიუტერული მეცნიერება (0613.1.2) განეკუთვნებიან სხვადასხვა დეტალურ სფეროს. ამასთან საერთოდ არაა ნახსენები „კომპიუტერული მეცნიერება“ როგორც დარგი ან/და სწავლების სფერო.

ამდენად, პროგრამაში შესული პროგრამის მიზნები ცხადად არ ასახავს, იმ ცოდნას, უნარებისა და კომპეტენციების რომელიც უნდა ჰქონდეს კომპიუტერული მეცნიერების სპეციალობის მქონე კურსდამთავრებულს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგები წარმოდგენილია 7 პუნქტის სახით, რომელიც პროგრამის მიზნებს შეესაბამება:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ძირითადი კონცეფციების მყარი ცოდნა. მათემატიკური და კომპიუტერული ტექნოლოგიების პრინციპების ცოდნის საფუძველზე, სფეროს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების, სფეროსთვის დამახასიათებელი მთავარი თავისებურებებისა და თანამედროვე ტენდენციების გაცნობიერების უნარი.
2. კომპიუტერზე დაფუძნებული სისტემის, პროცესის, კომპონენტის ან პროგრამის დიზაინის შერჩევის, შექმნის, შეფასების და განვითარების უნარი.
3. ინფორმაციულ /კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების სამომხმარებლო გარემოსთან ეფექტურად ინტეგრირების, მომხმარებლის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ანალიზის უნარი.
4. პროგრამირების, კომპიუტერული სისტემების მუშაობის პრინციპების, უახლესი მიდგომების და ტექნოლოგიური საშუალებების პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
5. ტექნოლოგიური გადაწყვეტისა თუ აპლიკაციის შემუშავებისას საუკეთესო მიდგომებისა და სტანდარტების შერჩევის, სიტუაციური ანალიზის და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
6. ახდენს სწავლის პროცესის შეფასებისა და მისი მნიშვნელობის გააზრებას, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის დანახვასა და მის შეძენას, ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.
7. შეუძლია ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ღირებულებებთან დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება და პრაქტიკაში დანერგვა.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს პროგრამის სახელის ცვლილების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოხდა მხოლოდ პროგრამის სახელის ცვლილებას და შესაბამისად პროგრამის მიზნები ძველი სახელწოდების („ინფორმაციული ტექნოლოგიები“) შესაბამისობითაა წარმოდგენილი, ეს არ არის იმის განმსაზღვრელი, რომ შედეგები „კომპიუტერული მეცნიერების“ მიზნების შესაბამისია. ისინი აღწერენ იმ ცოდნას და უნარებსა რომელიც ინფორმაციული

<p>ტექნოლოგიის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს.</p> <p>წარმოდგენილი მასალა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ განისაზღვროს, როგორ ხდება სწავლის შედეგების შეფასება, რა მექანიზმით, რა პეროდულობით და ა.შ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაკალავრო პროგრამა;
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს „კომპიუტერული მეცნიერების“ შესაბამისად
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	
---	--	--	---	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის აღწერაში და ასევე უნივერსიტეტის ვებ გვერდზე მითითებულია პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები:</p> <p>„საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.</p> <p>ასევე განსაზღვრულია მობილობით პროგრამაზე სტუდენტების მიღების პირობები.</p> <p>წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სამართლიანობას, საჯარობასა და ხელმისაწვდომობას</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა მოიცავს ზოგადი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს (40 ECTS კრედიტს - 20 ECTS სავალდებულო კურსები 20 ECTS კრედიტი არჩევითი კურსები); დარგობრივი სასწავლო კურსები (182 ECTS კრედიტი - 92 ECTS სავალდებულო საგნები, მათ შორის 30 ECTS მათემატიკური დისციპლინები, 12 ECTS საბაკალავრო ნაშრომი, 78 ECTS არჩევითი საგნები) და - თავისუფალი კომპონენტები (18 ECTS კრედიტი).

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამამ შეიცვალა სახელი აუცილებელია „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაზისო ცოდნის არეების შესაბამისი დისციპლინების დამატება და ხვედრითი წილის გაზრდა, მათ შორის დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსების ხვედრითი წილის (78 კრედიტი) შემცირებით და ზოგიერთი მათგანის სავალდებულო

საგნების ჩამონათვალში გადატანით.

პროგრამაში ძირითადი დარგობრივი საგნების მოცულობა (62 ECTS) ნაკლებია ვიდრე დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები (78 ECTS), აქედან გამომდინარე სხვადასხვა არჩევანის მქონე კურსდამთავრებულთათვის განსხვავებული დონით იქნება უზრუნველყოფილი სწავლის თითოეული შედეგზე გასვლა.

პროგრამის სახელწოდების შეცვლა მოითხოვს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ცვლილებას. შესაბამისად პროგრამაში წარმოდგენილი „პროგრამის სწავლის შედეგების რუკის“არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას, თუ რამდენად „შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- დარგობრივი სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- ✓ უნდა მოხდეს „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაზისო ცოდნის არეების შესაბამისი დისციპლინების დამატება და ხვედრითი წილის გაზრდა, მათ შორის დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსების ხვედრითი წილის შემცირებით და ზოგიერთი მათგანის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში გადატანით.
- ✓ შემუშავდეს „პროგრამის სწავლის შედეგების რუკის“ განახლებული ვერსია, პროგრამის შეცვლილი მიზნების და შედეგების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის განაცხადის თანახმად პროგრამამ შეიცვალა მხოლოდ დასახელება, შესაბამისად მასში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას, რომლებიც შეესაბამება უმეტესად „ინფორმაციულ ტექნოლოგიებს“ და ზედაპირულად „კომპიუტერულ მეცნიერებას“. სასწავლო მასალა თანამედროვე და შესაბამისია საგნების შინაარსთან და შედეგებთან, მაგრამ გადასახედი იქნება პროგრამის სახელწოდების „კომპიუტერულ მეცნიერებაზე“ შეცვლის შემთხვევაში.

კრედიტების რაოდენობა შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს განსხვავებით სააუდიტორიო საკონტაქტო საათებისაგან. მათი რაოდენობა უმრავლესი დარგობრივი საგნებისთვის წარმოადგენს კვირაში 2 საათს 13 კვირის განმავლობაში. აღნიშნული მოცულობის საკონტაქტო საათები ახალი დისციპლინების შესასწავლად საკმარისად არ მიგვაჩნია.

პროგრამის აკრედიტაციის მინიჭებისას დაწესებულებას დაევალა რეკომენდაციების შესრულება, რომელთაგან რამდენიმე შეეხებოდა სასწავლო კურსებს. კერძოდ:

- შემცირდეს დარგობრივი არჩევითი საგნების მოცულობა, რიგი საგნების სავალდებულო საგნების ნუსხაში გადატანის გზით (ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება, ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები II, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება, კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება I);
- გაიზარდოს დარგობრივი საგნებისათვის საკონტაქტო საათების რაოდენობა;

წარმოდგენილ მასალაში ცვლილებები არაა განხორციელებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- დარგობრივი სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- ✓ პროგრამის სახელის შეცვლით განსახორციელებელი მიზნების და შედეგების ცვლილებების შესაბამისად გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ;

<p>✓ გაიზარდოს დარგობრივი საგნებისათვის საკონტაქტო საათების რაოდენობა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში წარმოდგენილია რიგი დარგობრივი კურსები, რომლებიც ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებას სხვადასხვა ტიპის პროექტების განხორციელების გზით. მრავლადაა წარმოდგენილი კურსები რომლებიც მეტწილად პრაქტიკულ სწავლებას მოიცავს. პროგრამის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომი. ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ატარებს პრაქტიკული სახის სამუშაოებს, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ რეალური ტექნოლოგიური პროდუქტის/გადაწყვეტის შექმნას/შემუშავებას, მასთან დაკავშირებული თეზისის დამუშავებას და საბოლოო პრეზენტაციას.</p>

წარმოდგენილი მასალა არ იძლევა საშუალებას უფრო დეტალურად მოხდეს ამ პუნქტის შეფასება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტური კონფერენციების მასალები;
- კავკასიის უნივერსიტეტის დებულება;
- კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დებულება;
- საბაკალავრო პროგრამა;
